.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2010 წლის 1 მარტის
№215 დადგენილება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიის და მეტალურგიის ფაკულტეტის კომპოზიციური მასალების და ნაკეთობების ტექნოლოგიის №39 მიმართულების ბაზაზე არსებულ ბიონანოკერამიკის და ნანოკომპოზიტების ერთობლივი მასალათმცოდნეობის ცენტრის დასახელებაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება სტუ-ს №39 მიმართულების ბაზაზე არსებულ ბიონანოკერამიკის და ნანოკომპოზიტების ერთობლივი მასალათმცოდნეობის ცენტრის დასახელებაში და ის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიონანოკერამიკის და ნანოკომპოზიტების მასალათმცოდნეობის ცენტრი".

2. დაევალოს ცენტრის ხელმძღვანელს, ზ. კოვზირიძეს ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით შესაბამისი ცვლილებები შეიტანოს ადრე არსებული ცენტრის დებულებაში და წარმოადგინოს აკადემიურ საბჭოში დასამტკიცებლად.

3. სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიის და მეტალურგიის ფაკულტეტის № 39 მიმართულების მაგისტრატურის სპეციალიზაცია, რომლის დასახელებაა „ნანოტექნოლოგიებით მიღებული მოწინავე კომპოზიციური მასალები პოლიმერულ და კერამიკულ მატრიცაზე," დაემატოს სიტყვა „ბიონანოკერამიკა" და აღნიშნული სპეციალიზაციის დასახელება

ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ნანოტექნოლოგიებით მიღებული ბიონანოკერამიკული და მოწინავე კომპოზიციური მასალები პოლიმერულ და კერამიკულ მატრიცაზე”.

4. აღნიშნული დადგენილების მე-3 პუნქტში შეტანილი ცვლილებები გათვალისწინებული იქნეს 2010 წლის მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების დროს.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე	ა. ფრანგიშვილი
აკადემიური საბჭოს მდივანი	გ. სალუქვაძე